

|   |  |
|---|--|
| სწავლების საფეხური                            | პროფესიული, IV საფეხური  |
| სპეციალობა                                    | მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი   |
| პროგრამის ტიპი                                | აკადემიური   |
| პროგრამის ხელმძღვანელი                        | ოთარ შაინიძე - სრული პროფესორი   |
| მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი               | მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია   |
| სწავლების ფორმა                               | დღის სწავლება  |
| პროგრამის მოცულობა                            | 60 კრედიტი   |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა                | სტუდენტთა მიღება ხორციელდება ზოგად უნარებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.  |
| სწავლების ენა                                 | ქართული  |
| სწავლების ფორმატი                             | ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო, საწარმოო პრაქტიკა, ინდივიდუალური მუშაობა  |
| საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა და მიზანი | <p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მცენარეთა დაცვა“ მე-4 დონე ორიენტირებულია სასოფლო - სამეურნეო კულტურებზე გავცელებული მავნე ორგანიზმების ამოცნობა-იდენტიფიკაციაზე, მათ წინააღმდეგ ბრძოლის უსაფრთხო ღონისძიებების გატარებაზე და მაღალკვალიფიციური მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის მომზადებაზე.</p> <p>აღნიშნული სპეციალობაზე სწავლის მიზანია: თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული ცოდნის შექმნისათვის სავალდებულო აგრარული დისციპლინების შესწავლა; აგრონომიული მცენარეების ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების გაცნობა, სისტემური პრაქტიკული დაუფლება; კერძო და სახელმწიფო სამსახურებში პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება – განვითარება. პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს პრაქტიკასთან ორიენტირებული სპეციალისტის ჩამოყალიბებისათვის თანამედროვე ხარისხიანი ევროპული ცოდნის მიწოდება სასოფლო – სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმებზე და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ ღონისძიებებზე.</p>   |
| სწავლის შედეგები და კომპეტენციები             | <p><b>ცოდნა და გაცნობიერება:</b> აქვს ღრმა ცოდნა კულტურულ მცენარეთა ფართოდ გავრცელებულ მავნებლებისა და დაავადებების სიმპტომების შესახებ. იცნობს ფართოდ გავრცელებულ მავნებლების და დაავადებების ბიოეკოლოგიურ თავისებურებებს.</p> <p>ხელმძღვანელის დახმარებით შეუძლია დაავადებათა გამომწვევი ორგანიზმის იდენტიფიკაცია; ფლობს მცენარეთა დაცვის თანამედროვე მეთოდებს და საშუალებებს – აკარიციდებს, ფუნგიციდებს, ჰერბიციდებს და მათი უსაფრთხო გამოყენების მეთოდებს.</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</b> შეუძლია მცენარეთა დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების გამოყენება, სამუშაო ნაზავის მომზადება და უსაფრთხო ღონისძიებათა გატარება სასოფლო – სამეურნეო მცენარეთა ცალკეული სახეობებისა ჯიშების მიხედვით. შეეძლება რეკომენდაციის გაწევა პესტიციდების უსაფრთხო გამოყენება-შენახვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე ალტერნატიული ღონისძიებების გატარება.</p> <p><b>დასკვნის უნარი:</b> პრობლემურ სიტუაციაში შეუძლია მიზეზშედეგობრივი კატეგორიებით აზროვნება, გადაწყვეტილების ეფექტურად და სწრაფად მიღება მცენარეთა დაცვის საკითხებში. აღნიშნულთან დაკავშირებით ხელმძღვანელის ინფორმირება.</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი:</b> შეუძლია კულტურული მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება; მშობლიურ ენაზე აგრარულ სფეროში მნიშვნელოვან საკითხებზე ზეპირი და წერილი კომუნიკაცია. უცხო ენაზე პროფესიული ინფორმაციის მოძიება და ამ ინფორმაციის გააზრება – გამოყენება. ინსტრუქციებისა და ტექნიკური დოკუმენტაციების გაგება და გამოყენება; ცხრილებისა და მსრტივი ნახაზების გამოყენება</p> <p><b>სწავლის უნარი:</b> შეუძლია წყარობის მოძიება, დამუშავება, საკუთარი სწავლის დაგეგმვა, სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების უზრუნველყოფა.</p> <p><b>ღირებულებები:</b> იცავს კოლეგებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკურ</p> |

|  |  |
|--|--|
|  | ნორმებს. იცის მცენარეთა დაცვის მნიშვნელობა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.  |
| <b>დასაქმების სფეროები</b>                 | სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა სახის ფერმერული მეურნეობებში, სასოფლო - სამეურნეო ან დარგობრივი წარმოებებში.   |
| <b>აკადემიური რესურსი</b>                  | პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის 1 სრული პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 3 მოწვეული პედაგოგი, 2 პრაქტიკოსი სწავლული აგრონომი   |
| <b>მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</b>           | პროგრამის რეალიზაცია შესაძლებელია ფაკულტეტის სასწავლო - საცდელი ბაზაზე, მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ლაბორატორიაში, მცენარეთა ფიტოპათოლოგიის ლაბორატორიაში.   |
| <b>საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა</b> | <p>პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია. მოიცავს 60 კრედიტს. საიდანაც 35 კრედიტი ეთმობა ძირითადი დისციპლინებს, ხოლო სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასატვის გათვალისწინებულია 25 კრედიტი.</p> <p style="text-align: center;">სასწავლო კურსები</p> <p>უცხო ენა - 4 კრედიტი<br/> ქართული ენა მეტყველების კულტურა - 3 კრედიტი<br/> ინფორმატიკა - 3 კრედიტი<br/> ბოტანიკა 5 კრედიტი<br/> ფიტოპათოლოგია 5კრედიტი<br/> სასოფლო სამეურნეო ენტომოლოგია 5 კრედიტი<br/> მცენარეთა დაცვის მეთოდები 10 კრედიტი<br/> პრაქტიკა 30 კრედიტი</p>  |
| <b>შეფასების სისტემა</b>                   | <p>(ადეკვატურია პროფესიული სტუდენტის კრედიტების გაანგარიშების წესში მითითებული შეფასების სისტემის)</p> <p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;</li> <li>• ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;</li> <li>• კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;</li> <li>• დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;</li> </ul> <p>საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.</p> <p>პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p> <p>შეფასების ფორმა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შუალედური შეფასება</li> <li>• დასკვნითი შეფასება</li> </ul> <p>შეფასების მეთოდი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტესტი</li> <li>• ზეპირი გამოკითხვა</li> <li>• პორტფოლიო</li> <li>• ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი</li> <li>• დაკვირვება და დემონსტრირება</li> </ul> |